დამთავრებულ რამონტიკის შემდეგ ნამდვილ პოეტის მოელენა შეუძლებელია. აღარ არის შთაგონების ძალა ქალაქის დაბმულ სულის საწინააღმდეგოდ. ეხლა შთაგონების მომენტშიც აღარ შეიძლება გერმანულ ენის სრული გრძნობა. მხოლოდ ჭკვიანი ინტელიგენტობა თუ მიდის იქამდე, რომ იგრძნოს, თუ როგორ უნდა ჰქონოდეს ეს ნამდვილ პოეტს. ისინი თავს ძალას ატანენ (ჩვეულება თავის თავის მოტყუებამდე მიდის) მათი სიტყვები ჩამქრალია მექანიკურად და არა შთაგონებით. ისინი ახალ სკოლას, ახალ ეპოქას და ახალ შეგნებას მოელიან, მაგრამ ლირიკის ისტორია დასრულდა. ლირიკა უკვე აღარ არის. არის მხოლოდ დამთავრებული ლირიკის ძარცვა".

განზრახ ზოგადი ადგილები მოვიყვანეთ. შპენგლერ კი ფაუსტურ და აპოლონურ ლირიკას ეხება. ევროპის კულტურისათვის აპოლონური ლირიკა გაუგებარია. ფაუსტური ლირიკაც ამოწურვა და აღარ არის. იგულისხმება ნამდვილ—პირველ განცდის—ლირიკის ამოწურვა ფაუსტურ ევროპიულ კულტურის ფარგლებში. შპენგლერს ნაწერები ფორმა და შინაარსი არა სწამს, მათ უმეტეს ნაწარმოები განცდით მისთვის ორგანიულია, თავისთავადი, ამიტომ … … არაა განცდა და შემოქმედება: ყოველი შემოქმედება ჭეშმა ახალი, საკუთარი, განუმეორებელი. ის ასეთ შემოქმედებას იმ ერის ფარგლებში აღარ მოელის, რომელმაც ორგანიული მქმედი ენერგია ამოწურა. „დასავლეთის დაცემის" ორივე ტომი ამის მტკიცებებს. ზოგი აქ წინასწარმეტყველების ზუსტ… ეს არაა მართალი. შპენგლერ ფაქტებს ეყრდნობა, მისთვის მხოლოდ არსებული ფაქტები მეტყველებენ. ევროპის კულტურის და ხელოვნების მქმედი ენერგიის ამოწურვის დროთ თვით შპენგლერს თითქმის წლებით წინ უწერდა ფუტურიზმის, ექსპრესიონიზმის და დადაიზმის შემდეგ, ნუ თუ ეს კიდევ საეჭვოა! ევროპის კულტურის ორგანიული სტილი დაირღვა. „ლირიკა უკვე აღარ არის". შპენგლერის აზრი—განცდა ამის გენიალური მიხვედრაა და არა წინასწარმეტყველება.

ვ. ზორელი.

ისევ შეშლილის დღიურიდან...

ქრონოლოგიაში 1895 წელი ამოშალე. ამ წელს დედის სახე დამძიმდა. მე ჩავისახე. სისხლი ჩამქქვა გულში, ავტოკდი. ხორცი შევისხი. ნოემბერში ფეხი ავიდგი—დედის საშოდგან დავიძარი ქვეყნისკენ. რვა თვეზე მეტი ვეღარ მოვითმინე, ავჯანყდი. პატარა სხეულში დიდი სურვილები მედგა. ორშაბათს დავიბადე, ეურამალა დაკიდებული—უკულმა. შავი კატა მოვიტანე ქვეყანაზე, სხვა არაფერი. ვალი დამირჩვს. არ ვიცი რად, დღეში სამჯერ მიკოცნენ ხელ-ფეხს, მონობას, მორჩილებას მაჩვევდნენ.

ღამის სიზმრებში წამოვიზარდე. კოცნით მიზილავდნენ ყოველდღე სხეულს. შავი შუქი მედგა აკვნში. ვერწმოდი უდარდელად. პირველად ლაპარაკი დავიწყე ტირილით, სიცილით, ხელების მოძრაობით. მაშინ ეს ყველას ესმოდა. რვა წლისა ვიყავი, რომ სურვილები ამოძრავდნენ. ათი წლისას ფიქრი შემომაკვდა—სურვილში რომ სკაფვე გადახტომა. ეს პირველი მკვლელობა იყო, საზარელი, ანგარიშმიუცემელი. ლაპარაკი თხუთმეტი წლისამ დავიწყე უცნაურ ფიქრებით დატკეროთულმა. მაშინ იყო რომ სიყვარულის ხეში ლამაზ ქალს აესადრდი შავი თვალებით. მაგრამ მეტოპე ენახე: სიკვდილმა დაიწერა ჯვარი იმ ქალზე. ვულარავან შევიყვარე მას შემდეგ, სიკვდილი არავისათვის შემეტყობოდა. ფიქრის ფერი დამდო. დავინისლე ტანჯვით დავიტვირთე. მოთმინებამ ნახა თავის საზღვარი, მოუფიქრებელმა ფიქრმა ძალი დამიმტვრია. ღამე გამითეთრა. ხმები მესმოდა ისევ ჩემი, ჩემი თავი მაწუხებდა, ყოველ ღამე მელანდებოდა, არ მასვენებდა. გაჭკვეც ვულები წინ შემომეყარა, ხან ესის მიყოდდა—მალიზიანებდა. ხან დამეკინოდა საზარლად, მოთმინებას საზღვარი დაუდო...

საშველება რომ მომივა, ფიქრები შევკარი, ღვინით—გაველთედი. ნამდვილი ცხოვრება ამ დღიდგან დავიწყე უცნაურის კანკალით. ბევრი საზარელი სურათი მეჩვენა:

...პირველი:

წითელი ზოლით შემორტყმული მიბნეული სურვილი ნებივრობდა გაზის კაბაში. ქალი! იისფერი ენება ედგა სხეულში. ლამაზი, ხორცის სუნი იდგა მძიმე ნისლად მის გარშემო. დარიქილი კაცი უკოცნიდა პატარა, მიმზველ ფეხს. რბილით იზმორებოდნენ. დიდი სურვილი ვუცნაში ინასკვებოდა. ეცებოდა ეგა ვდგთ სხეულში. სა-

პორტრეტები

I

დღეს მედარი, ლურჯ-შეწითლებული და თვალებ-გაბრწყინებული, ლეიდ მეგობრისაკენ მიეშურებოდა. ლამაზი წვერ-ულვაში ტუჩებს უქმნიდა და გული სიგულეში აღარ უჩერდებოდა.

— აბა, მოველი ორად!—უთხრა კარების შეღებისთანავე მეგობარსა,—მიგდებ?

გულში გაიცლო, ვით თუ არ მიეგებოს, და სახეზე ნისლმა გადუკრა.

—მაშ, მაშ!—უპასუხა ორადმა და მკლავი მკლავში გაუყარა.—არც კი შეგაცვენებ, მერედაპირ გეჩვენებ.

ორივენი მეორე ოთახის კარის მიადგენ. ორადმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო.

—დაკეტილი გქონია?!—ჰკითხა გაკვირვებით მედარმა,—ვინ შეგიძვრება?

—ეს კარი ჩემი გულის კარია და არ მინდა შეილოს ვინმემ და შიგ ზეიმი. მიუგო მეგობარმა.

ამ სიტყვების გაგონებაზე ცოტა არ იყოს უმერხულად იგრძნო თავი მედარმა, ვით თუ ჩემი თხოვნამ ანჩელა და იმიტომ უნდა მიწყენინოთ, იფიქრა გულში და უკან დაიხია... წასულა დააპირა.

—არა, არა! მავას ნუ იზამ—მიმართა აჩქარებით ორადმა და შეაჩერა.—შენ ის ყინშვეებში როდი უნდოვხარ. შენ უყოოდ უნდა ნახო ჩემი კოლექცია სურათებისა.

სურათების ოთახში შევიდნენ.

—ჯერ ამაზე შეეხედეთ.—წასჩურჩულა ორადმა მედარსა და უმეტესად სარკის წინ დააყენა.—ხედავ? ვერთმანეთში ვერ გამოვარჩევენ. ეს ჩვენი გარეგნული მსგავსება შემთხვევითი როდია, შინაგანი მსგავსების გამომხატველიც არის... ჩემი კოლექცია შენც შეგიყვარდება...

სურათებისაკენ მიტრიალდნენ.

მედარს თვალები აუციცდა... თავით ფეხამდე უცხოდ გადმოცემული, ადამიანის სახეები უცქეროდნენ.

—დიდი, რა ფერადებია!—წამოიძახა აღტაცებულმა.—მაცნობეჯენ მაცნობეჯენ! მე და ჩემმა ღმერთმა მაცნობეჯენ!

ორადს მიუტრიალდა.

—ესენი ხომ ძალიან ბევრი ყოფილა? ვინ მოგცა? სად გიშოვია? ვისი ნახატია?—მიაყარა ზედიზედ კითხვები.

—ცნობილ მხატვრისა.—გაიგონა მედარმა დაბალის ხმით წარმოთქმული სიტყვები.—ცნობილ გალერეიდან გამოვიტანე.

მედარმა თითებზე ჩამოთვალა ცნობილი მხატვრები და ვერც ერთს ვერ მიაკუთვნა. ცნობილი გალერეებიც გაიხსენა და მხოლოდ მხრები აიწურა. მეგობარს ეჭვის თვალით გადახედა, იქნება თავის ჭკუაზე არ არისო, მაგრამ ამის მაგიერ … … რა … და … თავის სურათებს.

—მაინც ვერ მიხვდი, რომელ გალერეიდან არის!—დაიძახა … მედარის სიტყვებმა უნებურად ჩაითვალისწინა სიჩუმე.

—ამ გალერეის ჭერად ცა გადაჰხურვია და ზღვად დედამიწა დაჰფენია,—განუმარტა ორადმა,—თვალი ლამაზებშიც შემოხედავს სიმრავლეს ბოლოს არ ჩანს!.. ახალგარდა კიდევ ჩვენი ჩაცმულობა ნიადაგ ცვლის; ყველაზე ცხოვრება უჭირავს და დაუძლეველად ეწევა ცხოვრების ნაპირებზე ფერადებსა.

—შენ, კაცო, იგავებით ლაპარაკობ!—უთხრა მედარმა.

ორადმა გაიცინა.

—აბა ერთი კარგა გადაავლე თვალი!—სთხოვა მეგობარსა და თან ხელი წაავლო.

მიაბრუნ-მოაბრუნა.

—შენ განა ტყუილად წამოიძახე პირველ დანახვაზევე,—ეს სურათები მართლა, მაცნობეჯენ და გრძნობენ კიდეც.

—ხომ მეტყვი ვისი სახეებიც არის? —ჰკითხა ხელმეორედ.

—როგორ თუ ვისია?—შეიტია ნერვიულად ორადმა.—ეს პორტრეტები თვითონვე არიან იდეები თავისი თავისა!

მედარმა არაფერი უთხრა,—არ გაუგია. სურათებს დაუწყო გულმოდგინედ თვალიერება. ბევრი არ არისო, ამბობდა გულში, მაგრამ რაც არის, მართლა რომ არისო...

ორადი თავს ევლებოდა ამ უცნობ ნაწარმოებებს, ზედ დაჰკანკალებდა. თითქოს ცოცხალ არსებათ უკვირდა, ისე უყურებდა თვალს თვალში თითოეულ პორტრეტსა. მედარი ხედავდა ყველა ამას და იცინოდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და გამოელაპარაკა ორადს.

—შენ, კაცო, კერპთთაყვანისმცემელი გამხდარხარ! ვგონებ, მალე მსხვერპლსაც შესწირავ ამ ტილოებზე გამოხატულ არსებებს.

—ტილოებზე? არა! სულები!—გაისმა პასუხად.—ეს ტილო, ტილო არ არის! წყლისაც გიხარია, სივრცე და ეს სახეები კერპები არ არიან! ხედავ ამას?—მიუთითა ორადმა მედარს ცალიერ ტილოზე.

ტილოს ლეიბ ტოტები აჭიობდენ.

—ხომ ხედავ? კარგა დააკვირდი, დააკვირდი! ხედავ?

თანხმობის ნიშნად მედარმა თავი დაუქნია და თან დაიცინა;

—შენ თუ ხარ ის უცნობი მხატვარი? ალბათ თუ გინდა ზედ გინდ გაიმხატო?

ორადმა ხმა არ გასცა: მხოლოდ მხრები შეიშმუშნა.

—ეს ლეიბ რაფის ნიშნავს?—შეეკითხა მედარი.—ტილოს რათ უნდა გლოვის ნიშანი?

—დაგვკარგე!.. მიუგო ორადმა მწარე ღიმილით და თვალები მოჭუნა.

ახლა კი ცოტა არ იყოს, მედარმა მეგობარის სულის ვითარებაში თითქოს უწყრობა დაინახა და დააკვირდა.

—რას მიჩაჩრდი?—გაუჯავრდა ორადი.—თუ გინდა, სურათები გასინჯე, მე კი თავი დამანებე.

—კარგი მეცყუ მეზედავს და მე რომ შენ შემოგხედო რა იქნება?—უპასუხა შაბლონური ანდაზით მედარმა და პორტრეტებს მიუტრიალდა.

მალე ყველაფერი გადაავიწყდა. მხატვრობამ წაართვა გულის-ყური: ფერადები ხან ახალგაზრდათა სახით ცვლინებოდნენ, ხან ქალთა მშვენიერულთა სახით. თვითეული სურათი თავისებურად მეტყველებდა. მედარს გული ნეტარებით აღელდია და პირიდან სიტყვებად გადმოდინა:

—ეს ახალგაზრდა სწორედ მებრძოლი ანგელოზია... არა, არა! მშვიდობის მახარებელია!.. ღმერთო ჩემო, რას სჩადის?! ხან ცეცხლი ელვარება თვალებში, ხან ნელი, ნელი სხივი უკიმციმებს!.. ეს ვინღა არის, დროს ნაკვალევი რომ უჩანს სახეზე? ბევრი იწვალა ეს ხანავს და მაინც შარბათით გაიმასპინძლდება... ეს აღელვებული ტბაა ნამდვილი. ვინ იცის რამდენი ხებმის ძალისა მალავს თავის გულში სახის კუშთების იერზე ეტყობა... ეს ხომ მხოლოდ სვედის ჯანის! ცის მიძებნელ მარტოობის გრძნობით გაიტოლა და მაინც თავის სხივთა ზეწრით სხვას გულს გაავებულს უწყალობს... ეს … … ეს … კიდეც … ციხეა, … ხაზი გული რომ საიდუმლოდ უფურქებს... ეს ნამდვილი კვესია, ნაღველის ყოველი სიტყვა ტილად მოვდება და აბაჰგრუვლდება... … თუ არის?..

ორადმა მედარს ხელი წაავლო და სიტყვა ნაკადი შეაწყვეტინა, თავისაკენ მოატრიალა.

—მოგეწონა არა?

—მოიცადე რას მიქვიან! ისე მეცოდნოდა, ისე, ისე რომა ჩემ დღეში არ დავივიწყებ!—უპასუხა აღტაცებითა სავსე … ხმით მედარმა.—ოთახიდან გასვლაც კი მეზარება ეხლა. აქ რომ სიკვდილი მეწეოდეს, გულუკვეთ ნეტარებაში დავლევდი სულსა.

ამ სიტყვების გაგონებაზე ორადი შეკრთა, სიყვარულად ხელი წაავლო მედარსა და სურათების ოთახიდან ძალით გაიყვანა. მედარმა იწყინა, ცივად გამოეთხოვა მეგობარსა და შინისაკენ გასწია.

II

მალე მედარმა მეგობრის საქციელი დაივიწყებას მისცა და ერთი კვირის უკან ისევ ეწვია.

—რა ღმერთი გიწყრება, კაცო!?—დაეტია ხუმრობით,—როდემდის უნდა იყო ეგრე კარჩაკეტილი?—მხრებში ხელი წაავლო და მისწი-მოსწია.—თვალი გაახილე, მიიჩქმ-მოიჩქმე, გაიარ-გამოიარე!

—თავი დამანებე!—შესთხოვა ორადმა დაბალის ხმით მედარსა და პორტრეტების ოთახის კარებს მიეცქირდა.—წამო გაჩვენო.

მედარმა თანხმობა განაცხადა და მალე მეგობრის წინამძღოლობით სურათებს შორის გაჩნდა, სიჩუმე დაუწყო.

—აქ მო!—უთხრა მეგობარმა და მარტოობის გრძნობით გასიხულ პორტრეტზე მიუთითა.—აღარ მგრძნობს, სულით, გონებით სხვაგან არის. გული მედიდება!.. სული ნაცრისი მთოფლი სულის ძლიერი ამონაკვნესით და ზენაარს დაეძებს.

მართალიც პორტრეტი, პირველად რომ ნახა მედარმა, თითქოს ოთახში ყველაფერს აიწყვლა. დღეს კი თითქოს ოთახს გასცილებოდა და შორს სიდღისაც იყო. დანარჩენ სურათებს კიდევ სახეზე ნისლი მოსდებოდათ, ბოლმა შეუთაწყვლებოდათ.

მედარმა უნებურად თავი დაღუნა: თვითონაც იგრძნო გულში სიცივე.

—მე რადა შეაში ვარ, რომ ლადის არის ეიტრთო?—გაიფიქრა გულში.

—აკი გითხარი—ჩემი მსგავსი ხარ მეთქი!—გამოელაპარაკა ორადი თითქოს გაფიქრებულის პასუხად.—შენ ჩემი ცალი ხარ, მეორე მე.

—თუ შენ მე ცალი ვარ, ან მეორე მე, რაღათ გამიყვანე ამას წინათ ძალით აქედან?—შეეკითხა მედარი ღიმილით.

—რათა და ჩემ თავსაც ეგრე ვექცევი.

სიჩუმე ჩამოვარდა.

მედარის გულმა სიავწროვე იგრძნო, გარეთ გაიწია, მაგრამ პორტრეტები იკავებდენ. უჩინარი ჯაჭვებით ჩაიჭედენ.

—მეც ეგრე ვარ,—უთხრა ორადმა.—ორჭოფობ არა? დარჩენაც გინდა, წასვლაცა.

მედარს ხმა აღარ გაუცია, თავს ძალა დაატანა და პორტრეტების ოთახიდან გავიდა. ორადიც უკან გაჰყვა.

III

წიგნს ჩასცქეროდა მედარი.

—ეჰ! შენცა ერთი! გული გაიწყალე!—წამოიძახა გაჯავრებულმა და ზლვეზე დაანარცხა.

წიგნი დაიშალა და მედარი გაწითლდა.

—რა დამიშავა უბედო საგანმა?—იკითხა ხმა მაღლა.

—არაფერი.—უპასუხა ვილმაც.

მედარი შეკრთა და უნებლიედ მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ შეუმჩნევია. ოთახში მარტო იყო.

მოწიწებით აკრიბა გადანტული ფურცლები. თითქოს ბოდიში იხდიდა, ისე დაუწყო სათითაოდ კანში ჩალაგება.

გაფუჭებული საქმე გამოაკეთა და ოთახში სიჩუმე დაიწყო. ვერ ისვენებდა.

—სანთურაძე!—შემოესმა გარედან თავისი გვარი.

კარი გაიღო და ხელში წერილი დაიჭირა. მეგობარი ორადი იპატიჟებდა. დაიბეჯრა ქუდი და გავიდა. ხიდეებთან საათში დაბარებულ ადგილას გაჩნდა.

მეგობარი დაღვრემილი დახვდა.

—რა დაგემართება, კაცო, რომ შენი სახე … …?—მიაბალა … სიტყვები.

პასუხად ორადმა მკლავში ხელი წაავლო და პორტრეტების ოთახისკენ გაიყვანა. ერთი სურათი აჩვენა. სახეზე რომ დროის მწარე ნაკვალევი აჩნდა და მაინც შარბათით უმასპინძლდებოდა მნახველსა, ის აღარ იყო … ცალიერ ტილოს მეორე … იყო.

—მიიწვ…?—ჰკითხა გაჯავრებით მეგობარსა მედარმა,—რა ქამეტის საშუალება მოიპოვე?

ორადმა თავი გაიქნია და ტილოს თავზე … მედარმა ზედ … გამოხატული ხელის ჩონჩხი შენიშნა. მიხვდა, და შეძრწუნდა: სურათზე ცხოვრების ულმობელ კანონს ემორჩილა. მიხვდა რომ წინანდელი ნახული, ღვიით მორთული ტილოც ამავე ულმობელ კანონით იყო დაცარიელებული. მედარს თვალთაგან ცრემლი გადმოსცვივდა. ახლავ დაემშვიდობა ორადსა. მეგობრებმა დანარჩენ სურათებს

ყვარული რომ შეჰფიცა ცვალებადმა ენებამ წითელი ენა გამოუყო კლოუნტილით. კაცმა ქალი შეიხიზლა, გაიქცა... ვინ გამოედევნებოდა?.. სურვილებს ახალი მწყობრი გაივლო. ენების სანთლებით ჩამწკრივებულიყვნენ შესავალთან. ქალი?.. ქალს ნერწყვი ჰყოფნიდა, რომ ყველა მამაკაცი ზიზღიანი ფურთხით გაეცილებინა..

ზნეობა!

მეორე სურათი:

კუბო ესვენა სიკვდილის ყვითელ ბალიშზე. ახალგაზრდა ქალის მოთქმა ზარივით რეკავდა. ვინ შესძლებდა ამდენ ცულიან მწუხარებას?.. კუბო სახლში ვეღარ მოითმინეს, გასვენების ორჯერ შემოტრიალდა სარკესთან, გაწითლებულ თვალებით შავი მანდილი გაისწორა. ეულს ქვეშიდგან ღიმილით უბინა ახალგაზრდა კაცს, კუბო მიწას რომ მისცეს ლია პირში...

—იმას ეძებდა ნისლიანი თვალებით. ამის შემდეგ ლოგინი განახლდა. შავი ფერი გაწითლდა. თბილი ენება გაიზმორა გაახლებულ სარეცელზე—პირველად. ვილა მოივონებდა ქმარს მიწაში? მოვიწყებულს ერთი ლა დარჩენოდა, სიზმარში შეეშინებინა მისაყვარულე ცოლი ცრუ მორჩენებით. საიქიოს ფერით, საშინელებით.

—სიყვარული?..

მესამე:

ოქროს დევს ეძინა. ადამიანის ცოცხალი სისხლით იყო გამაძღარი ხალხი გაცოფებულიყო. ყელში წაჭერილი ხელები ზედ შეშდებოდნენ. ლუკმა პური პირში შერჩენოდათ. იბრძოდნენ. გამიშვლებულა სხეული კუნთებით იყო ჭკული. კაცი კაცსა სჭამდა ბრაზ მორეული. მძოვრის სუნი მძიმე ოხშივრად ასდიოდა გაბრწნილ ქვეყანას. იბრძოდნენ, საჭმელს იტაცებდნენ, იხოცებოდნენ. საშინელი ტანჯვა იხლაჩნებოდა ყველას სხეულში. ფოლადი იარაღი იყო ოქროს საშოვნელად, ადამიანი კი უბრალო მხეცი, დაუნდობელი. საზარელი. სისხლიანი. ოქრო?..

ოქრო იცინოდა, მძიმდებოდა. წითლდებოდა, ფასი ეცემოდა.

კაცთმოყვარეობა?..

სურათი მეოთხე—სურვილები უტვინო.

სურათი მეხუთე—გრძნობები ფუქური.

სურათი მეექვსე—განცდები შიშით.

სურათი მეშვიდე—სიბრძნე, რომელიც არავის არ უნდა.

სურათი მერვე—ამაოება ამაოებათა.

ბოლოს კი გაკრეჭილი სიკვდილი. ტირილით და შიშით გამეცინა.—დაღუმდი. მოშელანდა მივიწყებული მოჩვენება—ჩემი თავი.

თავზარი დამცა მოულოდნელმა სანახაობამ. გამოვეკიდე. გამექცა. ამ დღენამ ჩემი ორეულის საგიჟეთში მიმიყვანა შეშინებული! კანკალით რკინის ჩარჩოს იქით. გარედგან კი ჩემი თავი ნიშნს მიგებდა. მაფურთხებდა—მალიზიანებდა, საზარლად დამცინოდა. ბევრჯელ ჩამამტვრევინა ფანჯრები. ბევრჯელ გამაცოფა. ვინ გაიგებდა ჩემ ალეზნების ნამდვილ მიზეზს?..

—..იმ დროს მოხუცი ექიმი ჩამოვლის დროს ჩემთან რომ გაჩერდებოდა, მომვლელი ცნობას აძლევდა. ჩემზე უამბობდა საშინელ აშლილობის არაკს. ფანჯრებს ჩალეწას. ის „გალლუცინაციებს" ჩაიწიშნავდა უბის წიგნაკში და ეს იმის აზრით იყო ჩემი „მოჩვენებების" საჭირო წამალი ჰა! ჰა! ჰა! ჰა!..

ელ—მორი.

ფართო შემოქმედების თეორია, მისი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, არ არჩევს წმინდა ესთეტიურ შემოქმედებას ყოველდღიური ჩვეულებრივი მოქმედებისაგან: ხელოვნური ნაწარმოები არ შეადგენს მიზანს თავისთავად და არც ტეხნიკური გამოგონებაა მარტოოდენ რაიმე უტილიტარული მიზნის განხორციელების საშუალება.

უბრალო ურმის, გემის, ან პაეროპლანის გამომგონს არ ამოძრავებს მხოლოდ და მხოლოდ მიმოსვლის მანქანის შექმნის იდეა. იგი ამ მიზანს ერთგვარ სილამაზესაც უკავშირებს: სილამაზე თვით არის ძალა და იდეა. სილამაზე არ არის მარტო მოქმედება. აქ სჭარბობს მხატვრული ქმნა და შემოქმედება, ან კიდევ: იგი არის წმინდა შემოქმედება მარტოოდენ. აქედან ცხადია სილამაზის ხარისხობაც: მოქმედება შემოქმედებასთან ერთად გვაძლევს წარმავალს სილამაზეს, პირობით მშვენიერებას, ხოლო წმინდა შემოქმედება იძლევა უმაღლეს სილამაზეს, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. ასე რომ სილამაზე ჭეშმარიტებაა და პირიქით: ჭეშმარიტება იგივე სილამაზეა.

ბუნების ძალთა მიწვდომა გონების ხვედრია. ჭკუის სათავე ალღოა, ინსტინქტი. იგი წყაროა გონების, იგი თვით არის პრიმიტიული გონება, მარტივი.

ინსტინქტი-ალღო-გონება თვით არის ნაწილი ცხოვრების, იგი ელემენტია ბუნება სამყაროის. ამიტომ მას არ ძალუძს მთელის სისრულით მიწვდეს მსოფლიოს, მიხვდეს მის საიდუმლოებას, შექმნას იგი, დაეუფლოს ჭეშმარიტება სილამაზით და სილამაზე ჭეშმარიტებით. ეს ცხადია, უდავო: ნაწილი არასოდეს არ უდრის მთელს, იგი ვერ დაიტევს მთელის სისრულეს.

ამიტომ სილამაზე და მხატვრული შემოქმედება, როგორც სრულყოფა ხელოვნებისა, მიუწვდომელია, დაუსრულებელი, როგორც თვით ბუნების ძალნი, როგორც სამყარო. თვითეული ნაწარმოები, როგორც ფორმა და სახე, მცირეოდენი მილწევა და ეტაპია ხელოვნება—ჭეშმარიტების ევოლუციის პროცესში.

ასეთია ქართული ხელოვნებაც საერთოდ, ცალკე—მისი პოეზია.

მაშ ვიცხოვროთ ხელოვნებით ხელოვნებისათვის!

ბ. ჰუმბერიძე.

რედაქტორი ვახტანგ კოტეტიშვილი.

ხელოვანთა სასახლე
ოთხშაბათს, 7 მაისს
პოეზიის დღე
დასაწყისი საღ. 8 საათზე.
შესვლა რეკომენდაციით.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ
სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალი
№ 3—4 კავკასიონი № 3—4
შინაარსი:
I მხატვრული ლიტერატურა. საქართველო.
1. ს. აბაშელი — ქარი სარკეში.
2. ნ. ლორთქიფანიძე — რაინდები.
3. პაოლო იაშვილი — Urbi.
4. გრიგოლ რობაქიძე — ლონდა.
5. კონსტანტინე გამსახურდია — ქრისტე პარიზში.
6. არისტო ჭუმბაძე — დაუგეშელნი.
7. ვალერიან გაფრინდაშვილი — კონცერტზე
8. რაჟდენ გვეტაძე — რევოლუცია.
10. ი. გრიშაშვილი — პაუზა.
11. ელენე დარიანი — პარიზისაკენ.
12. მიხ. ადამაშვილი — ტყის კაცი.
13. ხარიტონ ვარდოშვილი — სივრცეები.
14. სოლომონ თავაძე — რიერაჟები.
15. მარიჯან — ეგზოტიური ნატიხები.
16. ვარლამ რუხაძე — ნოემბრის ქარში.
17. ს. ფაშალიშვილი — უკვდავება.
18. ს. შანშიაშვილი — Vita nuova.
19. შალვა დადიანი — უბედური რუსი.
20. დ. კასრაძე — მელტონი.
21. საიათნოვა — დაუბეჭდავი ლექსი.
II მხატვრული ლიტერატურა. უცხოეთი.
22. პოლ კლოდელი — გზა შეწყვეტილი.
23. რობერ დე მონტესკიუ — ლექსი.
24. შარლ ბოდლერი — პარიზის ოცნება.
25. ფრედერიკ სტენდალი — ვანინი ვანინი.
26. გერმანული ლიტერატურიდან:
გოეთე — შტრასბურგის კათედრალი,
ინგელუს სილეზიუს — ქერუბიმულ მოგზაურობიდან.
27. ანტიური ლიტერატურიდან:
პლატონი — ეპიგრამები.
28. ოვანეს თუმანიანი — ანუშ.
III კრიტიკა.
29. ვახტანგ კოტეტიშვილი — ივანე მაჩაბელი.
30. ვალერიან გაფრინდაშვილი — შენიშვნები ლირიკაზე.
31. კონსტანტინე გამსახურდია — ახალი ევროპა.
IV სახვითი ხელოვნება და მუსიკა.
32. პროფ. გიორგი ჩუბინაშვილი — ქართ. პლასტიური ხელოვნება.
33. ლეონ მელიქსეტ-ბეგი — სიმბოლო ხუროთმოძღვრებაში.
34. კომპოზიტორი დიმ. არაყიშვილი — ქართული ხალხური მუსიკა.
V ფილოსოფია. მეცნიერება.
35. პროფ. შალვა ნუცუბიძე — კანტი კაცობრიობის აზროვნების პერსპექტივებში.
36. პროფ. ანდრია რაზმაძე — რელატივობის მოძღვრება ეინშტეინისა.
37. ალ. ჯანელიძე — მეცნიერული შემოქმედება და ჭეშმარიტება.
38. გრიგოლ წერეთელი — ანაკრეონტი.
39. პავლე ინგოროყვა — ჩახრუხაისძე.
VI მოგონებები და დოკუმენტები
40. ნიკო ნიკოლაძე — მოგონება სამოციან წლებზე.
41. ერთი წელი როდენთან — იაკობ ნიკოლაძისა.
VII კულტურის მატიანე.
42. შალვა ამირანაშვილი — ხუროთმოძღვრების გამოფენა.
43. ქართული კულტურის მატიანე. ბიბლიოგრაფია. ქრონიკა.

ქართული შემოქმედება და სამყარო

ადამიანის არსებობის და მოქმედების იდეალია: მისწვდეს ბუნების ძალთა საიდუმლოებას, გახდეს მისი განვითარების პროცესის **შეგნებული** და აუცილებელი მონაწილე, ენაიროს მას, შეიქმნეს მისი ბუნებრივი ელემენტი.

ეს შინაგანი ლტოლვა შეიცავს ადამიანის არსებობის შინაარსს, რაც მის გარდაქმნაში გამოიხატება. შეგნებული არსება ცვლის პროცესში ვითარდება და მწიფდება. სიმწიფის პროცესში კი დაუსრულებლივ ქმნის თავის თავს, თავის **ახალს სახეს**.

არა ორგანიული სხეულები მარტივს და უცვლელს კანონებს ემორჩილებიან: მათი აწმყო შეიცავს მას, რასაც ნამყო, და მათ მოქმედება-მოძრაობაში იმყოფება მხოლოდ ის, რაც უკვე მოცემული იყო მათ მიზეზში. ცოცხალი და შეგნებული არსება კი არ მოქმედობს მხოლოდ: იგი **ჰქმნის და გარდაჰქმნის**. ის სარგებლობს ძველით, იგონებს წარსულს და მისი მახსოვრობა არის შენგრობა ძველისა ახალში, აწმყოისა—მომავალში მხატვრული ფანტაზიისა და შემოქმედების სახით.

გადახედეს და სრული თანაგრძნობა ამოიკითხეს: მწუხარების ფერადნი ამღვრებოდათ. ორადი შეკრთა, სახეზე ნაოჭები გაისწორა და ბედნიერებით აღიჭურვა. იგივე გადმოეცა სახეზე მეგობარსაც და სურათებმა ჩვეულებრივი თავთავისი გამომეტყველება მიიღეს.

—წავიდეთ აქედან!—მიმართა ციკად ორადმა მეგობარს.

პორტრეტების ოთახი მიატოვეს.

—რათ მოგვივიდა ასე?—ჰკითხა მეგობარმა ორადსა, რომელსაც უკვე სახეზე ბედნიერება ღრმა სინანულად შეეცვალა.

—ალბად ჩვენი ავადმყოფობა თუა. —მიუგო ნაღვლიანად ორადმა.—თორემ ხომ იცი, რომ ყველა სურათის თანაგრძნობა ძვირფასია ჩვენთვის... ჩვენი დაკოდილის გულის მალამო.

ორადი ეხლა კი მეგობრის თავს თავის თავს უერთებდა და ისე ლაპარაკობდა.

—არა,—სთქვა მეგობარმა,—ჩვენ ალბათ გვინდა, რომ მათი გრძნობების ენერგია არ დაიხარჯოს, ვეფრთხილდებით.

—ვგიც შეიძლება. — დაეთანხმა მეგობარი და სახტივ მარტო დატოვებინა.

მეგობარმა სურვილი აუსრულა.

IV

დღეს დილა-ადრიან დაიბარა მეგობარი ორადმა, მივიდა და შინ არ დახვდა. პორტრეტების ოთახის კარი ღია დაერჩინა. მეგობარმა გაიოცა, როგორ მოშვებულია, რომ არ დაუკეტნიათ. სკამზე ჩამოჯდა და ლოდინი დაუწყო მეგობარსა.

გული აუტოკდა და პორტრეტებისაკენ გაიწია. მაგრამ მეგობარს მეგობრის ნებადაურთველად შესვლა არ ეხერხებოდა. ყოყმანმა შეიპყრო: ცალკე სურათების ნახვის სურვილი არ ასვენებდა, ცალკე ორადის წყენა არ უნდოდა. ბოლოს სულმა მაინც წასძლია და პორტრეტების ოთახში შეჰყო თავი. პირს კეტი ეცა: სურათები იქ აღარ იყო.

—თუ გადადის აქედან!—გაიფიქრა გუნებაში.—ალბათ იმიტომაც დაიბარა.

ისევ მეორე ოთახში გავიდა.

ორადი მივიდა და პორტრეტების ოთახში გაიწვია. მეგობრის განცვიფრების საზღვარი არა ჰქონდა: სურათები ყველა თავის ადგილას დახვდა.

—რა პირი გაქვს?—ჰკითხა ორადმა,—პირველად ხარ თუ რა არის?

—წელან არ იყო და!—წამოსცდა უცბად მეგობარსა.

ორადმა თვალები მიაპყრო.

—მაშ?.. უჩემოდ იყავი?

მეგობარმა თავი დაღუნა.

—უჩემოდ ვერ ნახავდი.—უთხრა წყნარად მეგობარმა.—ესენი ყველა ჩემი გონების ნაწარმოებნის ნაყოფია და მხოლოდ მაშინ სჩანან, როცა მე აქა ვარ.

—მერე და შენ არ ამბობ ხოლმე, რომ მე მეორე შენა ვარ?—უსაყვედურა მეგობარსა გულნაკლულმა მეგობარმა.

—დიახ, ვამბობ ხოლმე.—დაადასტურა ორადმა.—მაშინ, როცა უჩემოდ გდომებია ამ ოთახში შემოსვლა, გეტყობა შეუფერებელი ხარ და ჩემ მეს შენთვის უცხოდ უგრძნია თავისი თავი და შენ მეს გამოძევება; ნუ გაიჩნევ ჩემ მეს შენისაგან და ავეთი მარცხი არ დაგვემართება..

მეგობარი ყურს უგდებდა მეგობრის ლაპარაკსა და თან ფიქრობდა—ავად არის და მეც გადმომდო თავისი ავადმყოფობაო.

წასვლა დაპირა.

—დაიცა! სად მიხვალ?—შეაჩერა ორადმა,—არ შეკითხავ, რათ დაგიბარე? ეხლა მხარეს მივდივარ და მინდა ჩემი ბინა შენ ჩაგაბარო. შენ მაინც ჩემი მეორე მე ხარ და თუ შენ არ მოგწონთ, აბა სხვას ვის ვენდობი?—სურათებს გადახედა—ვიწყევი ამათ კარგა მოუარო, ზრუნვა არ მოაკლო. აიგასნევება მშვიდობით. ნუ გამაცილებ.—პატარა ხემიდანზე მიუთითა—აგე ჩემი ბარგი, ხომ ხედავ, არაფერს წარმოადგენს. შველა არ მინდა... ჰო, გავიცინ... რა? გიკვირს, კაცმა რომ ვახსენე? მართალია კოცნას ფუდამ ვერიდებოდი, მაგრამ ეხლა სულ სხვაა. შეიძლება ერთმანეთის ნახვას ველარ ვეღირსოთ.

მეგობარს გულში მოჰხვდა ეს სიტყვები და სიყვარულმა გადაჰყრა: უსაზღვროდ უყვარდა მეგობარი.

—განა არ მეტყვი სად მიხვალ?—შეეკითხა მეგობარი კილოთი.

ორადმა პასუხზე უარი ვერ უთხრა.

—მე მივდივარ...—დაიწყო ღიმილით,—მივდივარ იმ უსაზღვრო გალერეაში სადაც ეს პორტრეტები გამოვიტანე. მსურს ახალი სახეები ვეძიო, რომ ძველებთან ერთად ერთი მთლიანი ჰარმონიული რამ შევქმნათ. თუ დარბაზების სიმრავლე გზას არ დამიბნევს, თუ მე და შენ შორის გაბმული ძაფი არა აღნახა არ გაწყდა და ჩემ წინაალმდეგ ამხედრებულ მინოტავროსსაც მოვკლავ, დავბრუნდები, თუ არა და..—ორადმა სურათებზე ანიშნა—ესენი შენ დაგრჩებიან.

ლაპარაკი გათავდა და მეგობარს გადაეხვია..

მეგობარმა მთრთოლვარე ტუჩების შეხება იგრძნო..

ორადი მოსცილდა, უკანასკნელად თვალი გადაავლო პორტრეტებს და გზას გაუდგა.

V

მეგობარი ორადის ბინაზე დასახლდა. თავისი მეორე მეს სურვილისა'მებრ პორტრეტების კოლექცია საზრუნვა საგნად გაიხადა. კოლექციის ოთახს არავის აკარებდა. თვითონ შედიოდა და გამოდიოდა ხან დალონებული, ხან სახე გაბრწყინებული. მახლობლებს არასეუბნებოდა.

—რა დაემართა სანთურიძეს?—კითხულობდენ განცვიფრებულნი მეგობრის ამხანაგები.

—რა დაემართა და ორადის მეგობარი არ არის განა?—ისმოდა პასუხად,—იმისგან კარგი რა გადაედებოდა?

ამგვარს ლაპარაკს მეგობრის ყურამდეც აგონებდენ. ზოგი თამამად პირშიაც ეუბნებოდა, ორადმა შეგშალაო, მაგრამ მეგობარი გულგრილად ისმენდა.

დრომ კი წელიწადების მთელი რიგი შემოხაზა და ორადისაგან ჯეროვანი არაფერი ცნობა არ იყო.

მეგობარი სწუხდა და გული ულმობლად უტოკდა. ერთად-ერთ ნუგეშად პორტრეტები ეელინებოდნენ..

VI

მზე იწვერებოდა, როცა მეგობრის კარს ვიღაც მეზღვაური მიადგა. ტანზე შეუხედნათ დევვმირსა ჰგავდა. ჭიუანის გადაქელავდა: მწყობრი, ახოვანი აგებულობის, ჯანის კვანძად აეურებოდა; სახეზე შეგეხედნათ, გულის ტკივილების სალარო იყო.

მეგობარი დაინახა და გაიღიმა, მზიან დღედ იქცა. მეგობრულად ხელი გაუწოდა.

—გამარჯობათ!, გეცანით: მეგობარი ხართ.

სანთურიძე მეზღვაურის ხმამ შეათრთოლა: ტანში სიოზოლ დაუარა: ასე ეგონა, ზღვამ შეამღერაო. თვალები დახუჭა და გაახილა, უცნობს მიაპყრო.

—ვინ ხართ? გული ჩემი ფარს არ ამბობს თქვენზე, მაგრამ არ გიცნობთ... არ მახსოვხართ.

—არც გეხსომებით: ერთმანეთს პირველად ვხედავთ, მაგრამ თქვენ ორადს შეგეხართ... აქ მეზღვაურის სახე მწუხარებამ მოიცვა.

მეგობარი შეშინებოდა.

—ორადი?.. თქვენ იცით მისი ამბავი? თვალები რათ მოგეცრემლათ?

მეზღვაური დუმდებოდა.

მეგობარმა მუდარით გადახედა.

—მითხარით! ნუ დამიმალავთ!

მეზღვაურმა მუხლზე ხელი გადაისვა და მძიმედ ამოისუნთქა.

—გეტყვით და ახალს მოპოებულს დავკარგავთ, არ გეტყვით და რომ დის სურვილი აუსრულებელი დამრჩება...

მეგობარმა მოუთმენლად ფეხი გადადგა-გადმოდგა.

მეზღვაურმა თავი დახარა.

—სურვილი უნდა აუსრულო... ის აღარ არის—ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და მეგობარს გადასცა.—უკანასკნელი მისი ბაასი თქვენთან.

მეგობარი წაბარბაცდა. და მეზღვაურმა ხელი შეაშველა: ხელები დაუჭირა.

—ყინულივით გაჰხლოშიათ. ამისი მეშინოდა. ცუდი ნიშანია.

—ფეხებიც გაშეშინა,—დაიჩივლა სუსტი ხმით მეგობარმა.

პორტრეტების ოთახზე მიუთითა მეზღვაურსა.

—იქ შემიყვანე.

მეზღვაურმა სურვილი აუსრულა...

მეგობარი სკამზე დაჯდა.

მეზღვაურმა პორტრეტებს აადევნა თვალი: სევდით დასერილი სახეები უჭყიტოდნენ.

მეგობარმა წერილს კითხვა დაუწყო:

—ჩემო მეორე მევ! ვერ მოვკალი მინოტავროსი. ის ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა. თეზეოსობა ვერ გავწიე. მე და შენ შორის გაბმული ორიადნის ძაფი გადამიჭრა და ლაბირინტში გზა ამებნა... ყვითელმა ციებამ სხეული მომიდნო და სული ჩემი აღარ ჩემულებს მიგა... თუ შესძლებ, შენ იცოცხლე... ეს მეზღვაური ერთად ერთია, რომლის სურათიც მივამატებ ჩემ კოლექციის.. მაგის გალოაში მელებს ბოლო. ვინ არის თვითონაც არ იცის. პატარაობიდანვე თავისი თავი გემზე ახსოვს. ზღვის ბობოქობა, გრიგალი და სხვა სტიქიონური რამ არა ფერია მაგისთვის, მაგრამ სუსტი ადამიანი კი ყველაფერია..

მეგობარი კითხულობდა წერილსა და კიდურებიდან დაწყებული ნელ-ნელა ტანში უჯდებოდა სიცივე, ხშირ-ხშირად იხსოვრებოდა და ბოლოს ცახცახმა აიტანა. მეზღვაური გვერდით მიუჯდა, მკლავები მოახვია და მკერდზე გადაესვენა.

—ვეცდები გავათბო. ჩემი სხეულის საწყევი მასალა ულეველია.

—მე შემიყვარდა ეს მეზღვაური,—ამოიკითხა შემდეგ მეგობარმა მინაბებულის ხმით.—ყოველნაირ უდაროებას ყველას დარად ვუყელნებოდა გემზე და დარადი ვუწოდე. მე შემიყვარდა ისე, როგორც სხვასაც, მაგრამ დარადმა ბევრ სხვებს შორის მხოლოდ მე შემიყვარა...

მეგობარმა დარადს მაბინდული თვალი მიაპყრო:

—მეც შემიყვარდი...

დარადმა ალერსით თავზე ხელი გადუსვა.

—მეც!.. უფრო ადრე სანამ შენა... უნახველად შემიყვარდი... ორადი შემიყვარდა და მასთან მისი მეორე მეც.

მეგობარმა ამოიკვნესა.

—მგონი მალე აღარ ვიქნები: ჩემი მეორე მე თავისკენ მიწვევს. ერთი მე ცალკე სიცოცხლეს ველარ შესძლებს, რაკი გაიგო მეორის სიკვდილი. უკიდურობა მაპელდგმულებდა ამობამდე..

წერილს დახედა:

მე ვთავდები,—ამბობდა ორადი,—ვთავდები და ვნანობ, რომ ველარა ვნახავ ჩემ კოლექციას და პირადად ვერ გადავცემ იმ ჩემ მეორე მეს.. დარადი მიუმატე სურათებსა და...

შემდეგ აღარაფერი ეწერა.

მეგობარს ხელიდან წერილი გაუვარდა: სული შეუწუხდა... მარადიულმა ძალამ ბაგენი ყინვით შეუბოჭა.

დარადმა თვალები დაუხუჭა, პორტრეტების ოთახიდან გამოიტანა და ტახტზე დაასვენა. ახლოს მიუჯდა, სახეზე დააცქერდა: დახსომება უნდოდა.

გარედან ხმაურობა შემოიჭრა. მეგობართან, დარადი წამოდგა და ცხედრის მოშორებით დაიჭირა ადგილი.

მეგობრის ამხანაგები იყვნენ. ოთახში შემოვიდნენ და გაოცდნენ, უბელო გემი და დარადი რომ დახვდათ.

—ეს რა დამართვია? გუშინ სალსალამათი ენახეთ!

—მაშ? მაშ? უცნაურია სწორედ! დარადმა ფეხი წინ წამოდგა.

—უცნაური არა არის რა ბუნებაში. არის მხოლოდ საცნაური და სხვა არაფერი.

მეგობრის ამხანაგებმა უნებურად უგრძნეს თავი, მაგრამ ნამალადევად მაინც თამამობდენ.

პორტრეტების ოთახის კარს მიაჩერდენ.

—ნეტა რა აქვს იქ ამ საცოდავს რომ შიგ არავის გვიშვებდა?

დარადმა პორტრეტების ოთახის კარებისკენ გადინაცვლა.

—რათ შეგიშვებდათ, როცა თავის საკუთარ გულად მიაჩნდა?

—მერე და ეხლა ხომ ველარავის დაუშლის შიგ შესვლას?

დარადმა გაიღიმა.

—მართალია. მაგრამ იცოდეთ. მხოლოდ ცოცხალი ადამიანების ზრახვათა გაგება შეიძლება.—პორტრეტების ოთახის კარი გაუღო.—შეგიძლიათ შებძანდეთ.

ამხანაგები სახტად დარჩნენ: პორტრეტების ოთახში სარკის მეტი შიგ არაფერი იყო.

—ნეტა რათ ჰკეტავდა ასე მაგრა ამ ცარიელ ოთახსა?

ყველას მზერა აიწონ-დაიწია.

—ეს იყო მისი გული?

—მაშა, კაცო! ეს სადაური გულაა? ადამიანის გული საიდუმლოებით სავსეა ხოლმე.

დარადმა ყველას სწრაფი თვალი გადაჰკრა.

—მაინც რათ გიკვირთ მტრის გულად წოდებული ოთახის სიცარიელე? მეგობარი ადამიანის გული რომ გაჰქოთ განა ასეთსავე შედეგს არა ნახავთ? ცოცხალია, საიდუმლოებათა დაუშრეტელი ზღვაა, მოკვდება და ამოსუნდული კვერცხია.

დარადი მეცვალებულთან გამოვიდა. დანარჩენებიც უკან გამოჰყვნენ.

მეზღვაური უკანასკნელად დააცქერდა ცხედარს:

—მესალმებოდე მეგობარო,—მეგობრის ამხანაგებს გადახედა,—ესენი გამოდგებიან, მე კი ვერ ვიტირებ შენ მკერდზე მიწას დაყრას: იქ ჩამალულ გულში ჩემი სახეც ამოიხატა.

შეჩერდა და ვეამს ემთხვია. ჭიდა ხელი წამოავლო და კარებისაკენ პირი იბრუნა. შორეული ზღვა უწოდა თავის წიაღში.

ირადიონ ხინდული.

სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-სა, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.

ნებადართულია ლიტერატურ...